



# შირაკი

გამოცემის 85-ე წელი

SHIRAKI

გამოცემის 1937 წლიდან  
დაქვეყნების წინაპირი პერიოდიკის გაზეთი

№39 (10.044)

22 — 29 ოქტომბერი 2022 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

## წურასოდეს დაელაპარაკებით უცნობებს!..

ეს ფრაზა ბულგაკოვის ცნობილი რომანიდანაა - „ოსტატი და მარგარიტა“. რა მოჰყვა მოულოდნელად გამოჩენილ უცხო ადამიანთან მწერლების ბაასს, ალბათ მკითხველს კარგად ახსოვს. მკირენლოვანი შვილებისათვის საფრთხის არიდების მიზნით, მშობლების უმეტესობა სწორედ იგივეს ურჩევს საკუთარ პირმშობებს, თუმცა, ბავშვებს მაინც უჭირთ ამ დარიგების მუდმივად დაცვა.

\*\*\*

გიორგი ერთ პატარა ქალაქში ცხოვრობს. ის 8 წლისაა და სკოლაში სწავლობს. მისი სკოლის მიმდებარედ მუდმივად დგანან მანქანები. ბევრი მათგანი სკოლის მოსწავლის მშობელია, ზოგიერთი კი ქალიშვილობაში ახლადფეხმდგმული გოგონას თაყვანისმცემელი. ერთ დღეს შუახნის მამაკაცი გიორგის მიუახლოვდა და სთხოვა, რომ დაკარგული ძაღლის მოძებნაში დახმარებოდა. უთხრა, რომ ის მისი გოგონას საყვარელი ლეკვია, რომელიც დაბადების დღეზე აჩუქეს, ახლა კი მანქანიდან გადმოხტა და ვეღარ პოულობს. გიორგი ძალიან შეწუხდა და ლეკვის მოძებნა მანქანის შორიახლო დაიწყო. მამაკაცმა შორლოკაციაზე გადაინაცვლა და გიორგისაც უხმო. ბავშვმა მასთან მიიბრინა. მამაკაცი მიუახლოვდა და ყურით უნმანური სიტყვები ურჩურწლა. გიორგი შეცბა. მიიხედა-მოიხედა, ირგვლივ არავინ იყო. შეშინდა და მშობლის დარიგება გაახსენდა: - უცხო ადამიანებს არ ენდო! ადგილს მოსწყდა და სკოლაში შევარდა, გული ამოვარდნაზე ჰქონდა. სარკმლიდან დაინახა, როგორ ჩაჯდა უცნობი მამაკაცი მანქანაში მშვიდი სახით და სხვა ბავშვების თვალთვლება დაიწყო...

საქართველოში ბოლო პერიოდში გახშირდა სკოლის მოსწავლეების მიმართ გარყვნილი ქმედების ფაქტები. რამდენიმე ქალაქში დამნაშავეთა იდენტიფიცირება და დაკავება მოხდა. თუმცა, ამის მიუხედავად, დანაშაულის სტატისტიკა კვლავ მზარდია. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, გენერალური პროკურატურიდან და უზენაესი სასამართლოდან გამოთხოვილი სტატისტიკის თანახმად, 2014-2020 წლებში სსკ-ს 137-141, 255-2552 და 253-254 მუხლებით არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების მიხედვით გამოძიება დაიწყო 1743 საქმეზე, სისხლის-სამართლებრივი დევნა დაიწყო 1499 საქმეზე, ხოლო განაჩენი გამოტანილია 780 საქმეზე, რომელთაგან გამამტყუნებელი

განაჩენი დადგა 767 საქმეზე. შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელს თითქმის ორჯერ ჩამოუყვარდება გამამტყუნებელი განაჩენების რაოდენობა ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის საქმეებზე. სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოდან მიღებული ინფორმაციით, 2014-2020 წლებში სარეაბილიტაციო თუ ბავშვის მხარდაჭერაზე ორიენტირებული სერვისებით ისარგებლა სექსუალური ძალადობის მსხვერპლმა 831 არასრულწლოვანმა.

სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით, ბავშვზე სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლოატაციის დანაშაულებზე სახელმწიფო უწყებების მხრიდან დროული, ეფექტიანი და კოორდინირებული რეაგირება ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში შესაბამისი გადაწყვეტილების მიქნე, ყველა საჭირო კადრის ჩართულობას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბავშვის მეორეული ვიქტიმიზაციისგან დასაცავად და დადებითად აისახება მართლმსაჯულების განხორციელების ეფექტიანობაზე. თუმცა, ქვეყანაში ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მომუშავე კადრების რაოდენობა მკვეთრად ჩამოუყვარდება ამ მხრივ არსებულ საჭიროებას. მაგალითად, 2014-2020 წლებში სულ 1,092 არასრულწლოვანი ცნეს დაზარალებულად სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლოატაციების დანაშაულებზე, აქედან 2018-2019 წლებში - 317 არასრულწლოვანი, თუმცა სახელმწიფო ზრუნვის ბაზაზე, ქვეყნის მასშტაბით, მხოლოდ 13 ფსიქოლოგის კადრი არსებობს. პრობლემურია ასევე, შესაბამისი სპეციალისტების უშუალოდ ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულების სპეციფიკაზე კვალიფიკაციის იმპლემენტაციის საკითხი. კიდევ უფრო მწვავედ დგას სახელმწიფოში უშუალოდ სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლოატაციის დანაშაულების მსხვერპლ ბავშვებზე ორიენტირებული სარეაბილიტაციო სერვისების არარსებობა, ხოლო არსებული მწირი რესურსი ვერ უზრუნველყოფს სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვებსა და მისი ოჯახის რეაბილიტაციას და ვერ ქმნის მათ ეფექტიან მხარდაჭერაზე ორიენტირებულ გარემოს.

სამართალდამცავ უწყებებსა და სამართლო სფეროებში, ერთეული გამო-



ნაკლისების გარდა, არ არის შექმნილი არასრულწლოვანზე მორგებული გარემო. აღნიშნული გულისხმობს სათანადოდ მოწყობილი ოთახის არსებობას, სადაც შესაძლებელი იქნება განცალკევებით, უცხო პირებთან ინტერაქციის გარეშე, მხოლოდ შესაბამისი სპეციალისტების ჩართულობით, არასრულწლოვანის გამოკითხვა, ასევე, სასამართლო პროცესის დროს დისტანციური დაკითხვა. ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობის საქმეებზე ფსიქოლოგის ჩართულობა დამოკიდებულია გამოძიებლისა და პროკურორის მიერ აღნიშნული საჭიროების შეფასებასა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაზე, რაც არ არის არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვის ეფექტიანი მექანიზმი და ამ სერვისით უზრუნველყოფის კუთხით, რისკებს წარმოშობს. შესაბამისად, ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულების ყველა საქმეში, ფსიქოლოგის კადრის ჩართვა უნდა იყოს წინასწარ განერილი პროცედურა და არა საქმის გამოძიებლისა თუ პროკურორის შეფასების საგანი. კვლევის ფარგლებში გამოვლინდა, რომ რიგ შემთხვევებში, ვერ ხერხდება არასრულწლოვანისთვის სხვადასხვა პირთან კომუნიკაციის მაქსიმალურად თავიდან არიდება. კერძოდ, საგამოძიებო მოქმედებისას არასრულწლოვანს თუ თანახლდა სხვადასხვა ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი და გამოძიებელი, რამაც შესაძლოა გაზარდოს ბავშვის მეორეული ვიქტიმიზაციის (ვიქტიმიზაცია გულისხმობს მსხვერპლად ყოფნის გამოყენების პროცესს, ან ადამიანის გადაქცევას მსხვერპლად) რისკი. ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის საქმეებზე მომუშავე სპეციალისტების, სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების რაოდენობის მკვეთრი შეუსაბამობა ქვეყანაში ამ მხრივ არსებულ საჭიროებასთან, არსებითად აფერხებს, ხშირად, შეუძლებელს ხდის სპეციალისტების მხრიდან ბავშვის ინტერესების სრულფასოვნად დაცვას მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში. ამასთან, აბრკოლებს გრძელვადიან შედეგზე ორიენტირებული მხარდაჭერი ღონისძიებების გატარებას. ერთ რეგიონში მხოლოდ ერთი ფსიქოლოგის კადრი საგანგაშოდ დაბალი მაჩვენებელია და შეუძლებელს ხდის როგორც კონკრეტული სერვისების მიწოდებას, ასევე, წარმოშობს ბავშვებისთვის სერვისზე გეოგრაფიული

ხელმისაწვდომობის პრობლემას. სპეციალისტების კვალიფიკაციის ნაკლებობა უარყოფითად აისახება არასრულწლოვანთა ინტერესებზე და ვერ უზრუნველყოფს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ბავშვების მაქსიმალურ დაცვას მეორეული ვიქტიმიზაციისგან. განსაკუთრებით ყურადსაღებია სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების გადაზიდვის პრობლემა, რომლებსაც წლების განმავლობაში არ მიუწვდებიათ ხელი საჭირო სასწავლო ღონისძიებებსა და რესურსებზე. ამასთან, უშუალოდ ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის საკითხებზე, მუდმივ პროფესიულ გადაზიდვას საჭიროებენ გამოძიებლები, პროკურორები და მოსამართლეები.

ფსიქოლოგები საუბრობენ მოსწავლეების განათლების პრობლემებზე. ბავშვი, თავისი ბუნებით, გულუბრყვილი და მიმნდობია, ამიტომ მისი მიტყუება და მოთაფვლა გაცილებით იოლია. აუცილებელია, ბავშვებმა იცოდნენ, რომ უცნობ ადამიანთან ურთიერთობისას სიფრთხილეა საჭირო, რომ უფროსების მტკიცების მიუხედავად, თუ როგორი ახლოვდება ის მათი მშობლების, ნდობისგან თავი შეიკავონ; მოსწავლემ უნდა იცოდეს, როგორ მოიძიროს აბეზარი „ახლობელი“ დაუჩინებელი მოთხოვნისას და ა. შ.

ცნობიერების ამაღლებას, მხოლოდ ერთი უწყება, შსს ვერ მოახდენს. ამ კუთხით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, განათლების და მეცნიერების სამინისტროს როლი. სექსუალური ძალადობის შესახებ ინფორმაცია, ფორმალური განათლების ნაწილშიც უნდა შევიდეს იმისთვის, რომ, პირველ რიგში, მასწავლებლებმა, სამედიცინო პერსონალმა და მშობლებმა იცოდნენ, როგორ მოახდინონ ძალადობის იდენტიფიცირება და რაც მთავარია, თავად ბავშვებს უნდა მიენდობოთ ინფორმაცია, რა არის მისაღები ქცევა და რა შემთხვევაში უნდა შეატყობინონ მათ მშობლებს, მასწავლებლებს თუ მათთვის სანდო პირებს, რომ მათ მიმართ რაღაც ისეთი ქმედება ხორციელდება, რაც არ არის მისაღები და სასურველი თავად ბავშვისთვის.

**ფსიქოლოგების რეკომენდაციით, სკოლაში უნდა ხდებოდეს ბავშვების მომზადება ამ და სხვა სახის საფრთხეების თავიდან ასარიდებლად. თუმცა, ამის პრევენციად დღეს მხოლოდ ეს ცნობილი ფრაზა რჩება: „წურასოდეს დაელაპარაკებით უცნობებს!“...**

ინგა შილაშვილი





# პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე იმსჯელეს

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსმა ლელა ჯანაშვილმა, კახეთის სახელმწიფო რწმუნებულთან გიორგი ალადაშვილთან ერთად, რეგიონის თვითმმართველი ერთეულების ხელმძღვანელ პირებთან შეხვედრა გამართა.

ლელა ჯანაშვილმა, კახეთის მხარის რწმუნებულს, გიორგი ალადაშვილს და საჯარო სექტორის სხვა წარმომადგენლებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები გააცნო.

შეხვედრას ესწრებოდნენ რწმუნებულის მოადგილეები, ასევე, კახეთის მხარის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებიდან: ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტების მერები და საკრებულოების თავმჯდომარეები.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საჯარო სექტორზე ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსმა - ქეთევან კრანაშვილმა და დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ სოფო შამუგია მუნიციპალიტეტებში პერსონალური მონაცემების დაცვის მიმართულებით არსებულ გამოწვევებსა და პრაქტიკულ საკითხებზე ისაუბრეს, ხოლო სამართალდამცავი ორგანოების მიერ ინფორმაციის გამოთხოვასთან დაკავშირებული გამოწვევების შესახებ, სამართალდამცავ ორგანოებზე ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსმა - ია ყიფიანმა მიაწვდინა ინფორმაცია დამსწრე აუდიტორიას.



შეხვედრის მონაწილეებმა დასვეს კითხვები და გამოთქვეს მოსაზრებები მათთვის აქტუალურ საკითხებზე.

რეგიონული შეხვედრის ციკლს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური სამცხე-ჯავახეთის მხარეში დაასრულებს.

## რაჭაში ახალი დაცული ტერიტორია - ეროვნული პარკი შეიქმნება

რაჭაში ახალი დაცული ტერიტორია - ეროვნული პარკი შეიქმნება, აღნიშნულის შესახებ კანონპროექტი პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო.

საქართველოში ახალი დაცული ტერიტორიების შექმნის მიზნით, მთავრობის ინიციატივით, ორი კანონპროექტი - „ნუგზარ ზაზანაშვილის სახელობის სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის შექმნისა და მართვის შესახებ“ და „რაჭის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ მომზადდა, რომლებზეც პლენარულ სხდომაზე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, ნინო თანდილაშვილმა ისაუბრა.

„ვაშლივანის დაცული ტერიტორიების გაგრძელებაზე იქმნება ახალი დაცული ტერიტორია, რომელიც ჯამში 13 ათას ჰექტარ ფართობს მოიცავს. ეს არის პირველი სახელობითი დაცული ტერიტორია, რომელიც აღიარებული მეცნიერის, ნუგზარ ზაზანაშვილის სახელს უკავშირდება. მას დიდი წვლილი აქვს შეტანილი დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარებაში და მისი მონაწილეობით, ქვეყნის მასშტაბით არაერთი დაცული ტერიტორია დაარსდა. სამუხის მრავალმხრივი გამოყენების დაცული ტერიტორიის შექმნა ქურციკების პოპულარიზაციის აღდგენას შეუწყობს ხელს და დაცული ტერიტორიების რეჟიმს გააგრძელებს იმ ფართობებზე, რომელიც ბიომრავალფეროვნებით არის გამოირჩეული. რაც შეეხება რაჭის დაცული ტერიტორიის შექმნას, ისიც ახალ დაცულ ტერიტორიას წარმოადგენს, რომელიც 50 ათას ჰექტარს მოიცავს. მრავალი წელი მიდიოდა ამ საკითხზე მუშაობა და, მნიშვნელოვანია, რომ რაჭაში დღეს ვქმნით ახალ დაცულ ტერიტორიას - ეროვნულ პარკს“, - განაცხადა მინისტრის მოადგილემ.

პარლამენტმა „ნუგზარ ზაზანაშვილის სახელობის სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის შექმნისა და მართვის შესახებ“ კანონპროექტი 76 ხმით, ხოლო „რაჭის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ 85 ხმით, პირველი მოსმენით მიიღო.

## ცნობილია, ფხიზელი იყო თუ არა მძღოლი, რომელსაც ზემო ქედში ბავშვი შემოაკვდა

ზემო ქედში 5 წლის ბავშვის გარდაცვალების საქმეზე სასამართლო განხილვა გრძელდება, რომელსაც სიღნაღის სასამართლოს მოსამართლე ვალერიან ბუგინიშვილი უძღვება. „შირაქმა“ მომხდარის ირგვლივ ახალი დეტალები გაარკვია. დაკავებულის დაცვის მხარემ წინასასამართლო სხდომაზე წარადგინა ექსპერტიზის დასკვნა, სადაც ნათქვამია, რომ ანალიზის შედეგად შეჯახების მომენტში ავტომობილის მძღოლს ალკოჰოლური, ან ნარკოტიკული თრობა არ დაუფიქსირდა.

დაკავებული მძღოლი ამჟამად გლდანის იზოლაციაშია მოთავსებული და წინასწარი ორთვიანი პატიმრობა აქვს შეფარდებული. მისი კუთვნილი ავტომობილი შეჯახების შემდეგ ადგილობრივებმა ქვევით დააზიანეს.

უბედური შემთხვევა სოფელ ზემო ქედში მიმდინარე წლის 4 სექტემბერს მოხდა. ოპელის მარკის ავტომობილით ადგილობრივი მკვიდრი, 1965 წელს დაბადებული მამაკაცი, სტუმრად მყოფ ლანჩხუთელ 5 წლის ბიჭს შეეჯახა, რის შედეგადაც ქვეითად მოსიარულე ბავშვი გარდაიცვალა. მან სასწრაფო დახმარების ცენტრში ბავშვი თავად წაიყვანა, შემდეგ კი პოლიციას ჩაბარდა. დაკავებულს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით (სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია) წარედგინა, მას 4-დან 7 წლამდე პატიმრობა ელის.

## დაგესვლის ორი შემთხვევა დედოფლისწყაროში

წლანდელი ზაფხულის სეზონის განმავლობაში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გველისგან ადამიანის დაგესვლის მხოლოდ ორი შემთხვევა დაფიქსირდა. ამის შესახებ გაზეთ „შირაქს“ დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრიდან აცნობეს.

ცენტრის ოფიციალური ინფორმაციით, მაისის თვეში ქვეწარმავალმა სოფელ არბოშიკში მცხოვრები 1957 წელს დაბადებული ქალი დაგესლა, რომელსაც ოპერატიულად გაუკეთდა გველის შხამის საწინააღმდეგო შრატი.

ივლისში კი დაგესვლის შემთხვევა საზღვრისპირა სოფელ საბათლოში დაფიქსირდა. ამჯერად გველმა 1988 წელს დაბადებული ადგილობრივი ახალგაზრდა მამაკაცი დაკბინა.

„ჩვენთან არსებული ორივე ვაქცინა ზაფხულის განმავლობაში გაიხარჯა, თუმცა შრატის მარაგი ისევ შეივსო. ამჟამად უკვე სამი დოზა გვაქვს,“ - უთხრა „შირაქს“ მთავარმა ეპიდემიოლოგმა ლალი ალადაშვილმა.

რამდენიმე თვის წინ „შირაქი“ უკვე წერდა, რომ დედოფლისწყაროში საავადმყოფოს გარდა კიდევ სამი დოზა ინახება სასაზღვრო პოლიციის სამმართველოში.

## საქართველოდან ელექტროენერგიის ექსპორტი რეკორდულ მაჩვენებლებზე გაიზარდა

საქართველოდან ელექტროენერგიის ექსპორტი რეკორდულად გაიზარდა. საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2022 წლის იანვარ-სექტემბერში ქვეყანამ 84,338 მლნ დოლარის ღირებულების ელექტროენერგია გაყიდა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 467.9%-ით მეტია. შარშან, საანგარიშო პერიოდში დენის ექსპორტიდან შემოსავალმა 14,851 მლნ დოლარი შეადგინა. შესაბამისად, წელს უკვე მესამე თვეა, ელექტროენერგია ადგილობრივი პროდუქციის ექსპორტის ათეულში ხვდება. იანვარ-სექტემბერში მთლიან ადგილობრივ ექსპორტში დენის წილი 3%-ს შეადგენდა.

აღსანიშნავია, რომ ელექტროენერგიის ასეთი დიდი მოცულობით ექსპორტი წლებია, არ განხორციელებულა. ინფორმაციისთვის, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები, თუ რა მოცულობის ელექტროენერგია გაყიდა საქართველომ, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საგარეო ვაჭრობის პორტალზე 2014 წლიდან არის ხელმისაწვდომი.

რაც შეეხება საქსპორტო ქვეყნებს, 2022 წლის 9 თვეში საქართველომ ყველაზე დიდი მოცულობით ელექტროენერგია თურქეთში გაყიდა - 79,553 მლნ დოლარის ღირებულების, მეორე ადგილზეა სომხეთი - 4,215 მლნ დოლარი, მესამეზე კი აზერბაიჯანი - 569.7 ათასი დოლარი. რაც შეეხება რუსეთს, იქ წელს 0,97 ათასი დოლარის ღირებულების დენი გაყვიდეთ.

ამასთან, საქსტატის ცნობით, წელს საქართველომ მხოლოდ 34,745 მლნ დოლარის ღირებულების ელექტროენერგია იყიდა და, ისიც ძირითადად, ზამთრის და გაზაფხულის პერიოდში.

# ქართველ ალპინისტებს „ოქროს წერაყინი“ გადასცეს

ქართველ მთამსვლელებს მსოფლიო ალპინიზმში პრესტიჟული ჯილდო „ოქროს წერაყინი“ გადაეცათ. ჯილდო არჩილ ბადრიანიშვილმა, გიორგი ტეფნაძემ და ბაქარ გელაშვილმა მოიპოვეს.

ქართველმა ალპინისტებმა ჯილდო დაიმსახურეს 7303 მეტრი სიმაღლის მწვერვალის დაპყრობით, სადაც აქამდე ფეხი არავის დაუდგამს და რომელიც ერთ-ერთ ურთულეს მარშრუტად მიიჩნევა. მწვერვალი „სარაგრარი

რი ჩრდილო-დასავლეთი“ (Saraghrar Northwest) პაკისტანის დასავლეთით, ავღანეთის საზღვართან მდებარეობს. მწვერვალზე ასვლა 1970-80-იან წლებში სცადეს, მაგრამ უშედეგოდ.

როგორც ჯილდოს ჟიური წერს, მათ ქართველი ალპინისტების დაჯილდოება რამდენიმე მიზეზით გადაწყვიტეს და, პირველ რიგში, ეს იყო აქამდე აუსვლელი მწვერვალის დაპყრობა, ალპინისტთა გუნდის მცირე



ზომა (მხოლოდ 3 კაცი) და ალპინისტური გზის განსაკუთრებული სირთულე, რომლის დაძლევისასაც დასჭირდა ხანგრძლივი ცოცვა და მნიშვნელოვანი ტექნიკური სირთულეების დაძლევა.

„ოქროს წერაყინს“ 1992 წლიდან გადასცემენ და ალპინიზმის „ოსკარს“ უწოდებენ, რადგან სპორტის ამ სახეობაში მნიშვნელოვანი ჯილდოა. დაჯილდოება 18-20 ნოემბერს საფრანგეთში შედგება.

# „ინოვატორთა კლუბები“ – მომავლის ახალგაზრდები

18 ოქტომბერს, „ალტე“ უნივერსიტეტში პროექტის „სკოლის ინოვატორთა კლუბების“ ფარგლებში ბიზნეს იდეების გამოფენა-გაყიდვა გაიმართა.

შემაჯავებელ ღონისძიებაზე მენარ-მეობის კლუბის წევრმა ახალგაზრდებმა, მათ მიერ შემუშავებული ბიზნეს იდეები წარადგინეს. დაინტერესებულ პირებს ჰქონდათ შესაძლებლობა მოსწავლეებისა და მასწავლებლების მიერ ერთობლივად შექმნილი პროდუქცია და ნამუშევრები დაეთვალიერებინათ და შეეძინათ.

პროექტის ფარგლებში, სკოლის დირექციებთან თანამშრომლობით:

- \* შეირჩა 21 სკოლა;
- \* გადამზადდნენ სკოლის მასწავლებლები;
- \* თითოეულ მუნიციპალიტეტში გაიმართა ინოვაციების ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობა ჯამში 400-მდე ახალგაზრდამ მიიღო;
- \* სკოლებში შეიქმნა ინოვატორთა კლუბები და მოხდა საუკეთესო 10 ბიზნეს იდეის პროტოტიპირება;
- \* ჩატარდა ესეების კონკურსი თემაზე- რატომ უნდა ისწავლებოდეს სკოლაში მენარმეობა;
- \* პროექტში ჩართული ხულოს მუნიციპალიტეტის განახლების საჯარო სკოლაში არჩევით საგნად დამატდა მენარმეობა;
- \* შემუშავდა და დაიბეჭდა სახელმძღვანელო სკოლების, მასწავლებლებისა თუ თემის დაინტერესებული სხვა პირებისთვის.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან ათი საუკეთესო ბიზნეს იდეის წარმდგენთა შორის არბოშიკის საჯარო სკოლა მონაწილეობდა.

პროექტი ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, „ალტე“ უნივერსიტეტთან ერთად, საქართველოს 8 სამხრეთ მუნიციპალიტეტში (ხულო, ქედა, ბორჯომი, ახალქალაქი, თეთრიწყარო, დედოფლისწყარო, ლაგოდეხი, ყაზბეგი) განხორციელდა.

გაზეთი „შირაქი“ არბოშიკის საჯარო სკოლის „ინოვატორთა კლუბის“ ხელმძღვანელს ხატიუნა მამლარიანს დაუკავშირდა და აღნიშნულ პროექტთან, კლუბის ჩამოყალიბებასა და სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით გაესაუბრა:

„ჩვენთან, მისში ჩამოსული იყვნენ ახალგაზრდული ინოვაციების ცენტრის – Rethink წარმომადგენლები, რომლებსაც „ალტე“ უნივერსიტეტთან ერთად ჰქონდათ პროექტი მენარმეობის შესახებ. ამ პროექტის მიზანი იყო ახალგაზრდების ჩართვა სამენარმეო საქმიანობაში, მათი უნარებისა და შესაძლებლობების გამოყენებისთვის. პროექტი ჩატარდა ოთხ საფეხურად. თავდაპირველად იყო იდეების პრეზენტაცია, სადაც 21 სკოლის 23 მასწავლებელი იყო ჩართული. პირველი საფეხური იყო ტრენინგი. მიღებული ინფორმაცია გავაცანი ბავშვებს, რომლის შემდეგაც გამოჩნდნენ პროექტში ჩართვის მსურველები. განსაკუთრებულად იაქტიურეს მაღალი საფეხურის მოსწავლეებმა. ეს პროექტი საინტერეს-

სოა იმითაც, რომ, ის შეიძლება მომავალი პროფესიის არჩევანშიც დაეხმაროს ბავშვებს. ახალგაზრდული ინოვაციების ცენტრის მეორე ვიზიტის მიზეზი უკვე ამ პროექტით დაინტერესებულ ახალგაზრდებთან შეხვედრა იყო, რაც ძალიან სახალისოდ და შემეცნებითად წარიმართა. შეხვედრაზე სამმა ჯგუფმა გამოთქვა პროექტში ჩართვის სურვილი, მაგრამ მათგან მეოთხე საფეხურამდე მხოლოდ ერთი გუნდი მივიდა. გუნდში შედიოდნენ: მე-12 კლასის მოსწავლე ეთერ ცხველიაშვილი, მე-11 კლასის მოსწავლე ნანიკო სიხუაშვილი და მე-10 კლასელი გიორგი გოგაშვილი. მათი იდეა მდგომარეობდა შემდეგში: სურდათ გაეკეთებინათ ეკოლოგიურად სუფთა, ნაქსოვი, ხე-




ჩამოვიდნენ ფესტივალიდან, რომ იმე-

ვიდან გვეგონა, რომ ქსოვისთვის საჭირო ინვენტარი თუ მასალები ჩვენ უნდა შეგვეძინა და ფინანსებიც ჩვენი უნდა ყოფილიყო, გარკვეული თანხის მობილიზებაც შევძელით, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდული ინოვაციების ცენტრი უზრუნველგვყოფდა ყველა საჭირო რესურსით. 200 ლარით დაგვაფინანსეს და ყველაფერში გვერდით დაგვიდგნენ, თუკი რამე გვჭირდებოდა. იქნებოდა ეს ტრანსპორტირების, დაბინავების თუ სხვა საკითხები. დემო დღეზე ყველა ძალიან ვენერჯიულობდით, იმიტომ, რომ ასაკით პატარები ვართ, მსგავსი გამოცდილება არასდროს გვქონია, არ ვიცოდით რას ვაკეთებდით, ცოტა დროც გვქონდა მოსამზადებლად, ყველაფერი დამოუკიდებლად უნდა გავგვეკეთებინა. მაგრამ, როცა პირველი ნაქსოვი სათამაშო გაიყიდა, მაშინ მივხვდით, რომ ჩვენი შრომა ნამდვილად დაფასდა. მთელი ზაფხული ვიშრომეთ, ერთ გუნდად შევიკარით და ეს ნამდვილად ამაღელვებელი მომენტი იყო ჩვენთვის. ძალიან გვინდა, რომ განვაგრძოთ და განვავითაროთ ეს საქმე. ამით არ დასრულვებულა ცენტრთან ჩვენი ურთიერთობა, მომავალშიც ვაპირებთ მათ პროექტებში მონაწილეობას, მაგრამ ერთი პრობლემა გვაქვს: გუნდში გადანაწილებული გვაქვს ჩვენი საქმე, ზოგს

ლნაკეთი სათამაშოები ბავშვებისათვის. ახალგაზრდული ინოვაციების ცენტრმა ჩამოვიტანა ნივთები და სახელმძღვანელოები მენარმეობის შესახებ. ბავშვებმა თავიანთ ნაშრომებს სახელიც დაარქვეს - „გენი“. ეს მათი პირველი სახელების აბრევიატურაა, მაგრამ, ამასთან ერთად სახელი დაუკავშირეს ქართული ქსოვის გენს.

მინდა გითხრათ, რომ ჩვენი კლუბი უკვე არის სოციალურ ქსელში, გამოუჩნდა ძალიან ბევრი გამომწერი და უკვე წარადგინეს საკუთარი ნამუშევრები. 18 ოქტომბერს იყო დემო ფესტივალი, ამ პროექტის დახურვა, სადაც შერჩეული 10 საუკეთესო გუნდი წარსდგა დამთვალიერებლის წინაშე. მინდა ვთქვა, რომ ჩვენი სკოლა იყო გამორჩეული. ყურადღების ცენტრში ძალიან მაღე მოექცა. განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა ბავშვების მიერ შექმნილმა სათამაშოებმა. ფაქტობრივად, ყველა პროდუქტი გაიყიდა. ტრენინგები ძალიან გულშემოტივრობდნენ ბავშვებს. დედოფლისწყაროდან შესარჩევ ეტაპზე თავდაპირველად ჩვენთან ერთად იყო გამარჯვების სკოლა, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი წარმომადგენლები ათეულში ვერ მოხვდნენ.

აღსანიშნავია, რომ მომდევნო თვიდან ხელახლა დაიწყება უფრო ფართომასშტაბიანი პროექტები. ჩვენ კვლავ ვაპირებთ მონაწილეობას, მაგრამ, რადგან ამ გუნდში ერთი დამამთავრებელი კლასის მოსწავლეა, შეიძლება ამ მხრივ გარკვეული პრობლემები შეგვექმნას. თუმცა, ბავშვები ისეთი მოტივირებულები არიან, ისეთი აღფრთოვანებულები



დი გვაქვს მომავალშიც გააგრძელებენ საქმიანობას და ყველანაირ პრობლემას გადალახავენ. მუშაობის პროცესში გამოუმუშავებული გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევებიც დაეხმარებათ მათ მიზნის მიღწევაში“.

ნანიკო სიხუაშვილი, ახალგაზრდული ინოვატორთა კლუბ „გენის“ წევრი: „მეორე შეხვედრაზე, როდესაც დაიწყეთ ჯგუფებად, მაშინ დაგვებადა იდეა, რომ ჩვენი მთავარი საქმიანობა ხელნაკეთი ნივთების, სათამაშოების შექმნა, კერძოდ კი ქსოვა ყოფილიყო. ჩვენი გუნდის ერთ-ერთი წევრი ეთო, ძალიან კარგად ქსოვდა და ვიფიქრეთ, ეს შესაძლებლობა რეალურ საქმედ გვექცია. ფაქტობრივად სპონტანურად მოგვივიდა იდეა, რაც ჩვენთვის კიდევ პროექტში. მთელი ზაფხულის განმავლობაში ვმუშაობდით, დავალეებებს, სხვადასხვა კითხვარებს გვიგზავნიდნენ პროექტიდან. ინტერესდებოდნენ, რა პრობლემები გვქონდა მუშაობის პროცესთან დაკავშირებით, რატომ გვინდოდა მისი განხორციელება, რა მოგებაზე გავიდოდით. შეგვეძლო იდეის შეცვლა, თუკი ის ვერ აკმაყოფილებდა გარკვეულ კრიტერიუმებს. იდეა დავტოვეთ, რადგან ძალიან საინტერესო და რაც მთავარია, სასარგებლოა ნებისმიერი ასაკის მომხმარებლისთვის. თა-



სოციალური ქსელის მართვა და დიზაინი ევალება, ზოგს ტექნიკური ნაწილი, ზოგს ქსოვა. ჩვენი მეგობარი, რომელიც ქსოვს, წელს სკოლას ამთავრებს, ამიტომ, ვფიქრობთ, როგორ განვავტორობთ ძირითადი ბირთვის გარეშე საქმიანობას. იმედი გვაქვს, რომ შევძლებთ და მასთან ერთად კვლავ შევქმნით ულამაზეს სათამაშოებს, ჩანთებს, ზამთრისთვის წინდებს, თბილ ტანსაცმის და ა.შ. ჩვენი ნაწარმის ფასი 5 ლარიდან იწყება და მაქსიმალურ - 30 ლარამდე აღის. ფასი დამოკიდებულია სათამაშოების ზომაზე, გამოყენებული ძაფის რაოდენობაზე და ა.შ. დაინტერესებული პირებისთვის ვიტყვი, რომ ჩვენი ნივთების შექმნა შესაძლებელი იქნება ონლაინ. მოხარულები ვართ, რომ დაინტერესდით ჩვენი საქმიანობით. თქვენი გაზეთი გვაძლევს საშუალებას გავიცინოს ფართო საზოგადოებაში“.

გაზეთი „შირაქი“ მომავალ საქმიანობაში წარმატებას უსურვებს არბოშიკის საჯარო სკოლის ახალგაზრდა ინოვატორებს. უსურვებს მათ დაუშრეტელ ენერჯიასა და მხნეობას, ყველა დაბრკოლებისა და პრობლემის გადალახვას. მომავალი გეკუთვნით თქვენ!

შუშუნა ყანაშვილი



# რა მოხდა „ორშაბათიდან“ – „ორშაბათამდე“?

ქართულ კულტურაზე გერმანიის სამოქალაქო რადიოში მომზადებული მისი გადაცემები, როგორც თვითონ ამბობს, „უდაბნოში შექმნილი ოაზისს“ ჰგავდა, მაგრამ სირთულეების გადასალახად მუდმივი ბრძოლა მას წუთითაც არ უნანია. სწორედ ამიტომ, უკვე ათეული წელია, თავისი საქმის ერთგულია. ახალ თაობას ურჩევს, „იბრძოლონ თავიანთი მიზნებისთვის და საკუთარი თავის რეალიზებისთვის“. ამბობს იმასაც, რომ „საქმის სიყვარული ყოველთვის აძლევს ადამიანს ბრძოლის ძალას“.



ეს სიტყვები ყველასთვის ნაცნობ, საქართველოს, ჩვენი მუნიციპალიტეტის ღირსეულ შვილსა და წარმომადგენელს, პოეტს, მთარგმნელსა და ჟურნალისტს-ირმა შიოლაშვილს ეკუთვნის. ის სულ ახლახანს სასიამოვნო სიახლით წარსდგა როგორც ქართველი, ასევე გერმანელი გულშემოტივირის წინაშე. საქმე ის გახლავთ, რომ ევროპულ ავტორთა გაერთიანება Kogge-მ წლის ავტორის ჯილდო მას (რომელიც ქართველ პოეტს ოფიციალურად 2020 წელს მიანიჭა), უკვე ოფიციალურად ქალაქ შტაინში გამართულ ღონისძიებაზე თავად ქალაქის მერის ხელით გადასცა. ირმას ინფორმაციით, გადაწყვეტილება გაერთიანებამ მისი აქტიური სამწერლო მოღვაწეობისა და გერმანიაში ჩატარებული არაერთი ლიტერატურული საღამოსა და ვორკუშის გამო მიიღო. 2019 წელს ქართველი ავტორი გერმანიის მწერალთა კავშირის 50



წლის იუბილეზეც იყო მინვეული. „მე ყოველთვის მიხარია, როდესაც ჩემს ქვეყანას უხარია ჩემთან ერთად. რაც შეეხება „Kogge“-ს ისტორიას, 2020 წლისთვის გადმოცეს ეს ჯილდო, მაგრამ პანდემიის გამო დაჯილდოების ცერემონიალი ორჯერ გადაიდო. დაჯილდოების წინ გაერთიანების თავმჯდომარემ, პროფესორმა უილი როთფუსმა ისაუბრა ჩემს შემოქმედებაზე და აღნიშნა ისიც, თუ რატომ გადმოცეცა ეს ჯილდო მე. რა თქმა უნდა, ჩემი შემოქმედება გახდა ჯილდოს საბაზი, მაგრამ მან ახსენა ასეთი ფრაზა, რომ საქართველოსა და გერმანიის შორის ვდებ კულტურულ ხიდებს. ეს არის მთავარი და მნიშვნელოვანი ამ შემთხვევაში. 2019 წელს „Kogge“-ს ფარგლებში მქონდა ჩემი ბოლო, 2018 წელს გერმანულად გამოშვებული წიგნის, „თავდაყირას“ წარდგენა. მას შემდეგ განიხილეს ჯილდოს თაობაზე ჩემი კანდიდატურა, კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა, რომ გადმოცეცათ ჯილდო.“

დაჯილდოების შემდეგ, ირმა შიოლაშვილის გერმანულენოვანი შემოქმედებითი საღამო გაიმართა. ირმას ლექსებში უდავოა, რომ კარგად შეერწყა ერთმანეთს მისი ქართული და გერმანული გამოცდილება და, მკითხველიც, რომელიც იცნობს მის შემოქმედებას, დამეთანხმება, რომ ჩვენს წინაშე უაღრესად საინტერესო პოეტური სინთეზია. ირმა სწორედ მის ფესვებთან მუდმივ კავშირზე, უცხოეთში ქართველების მხარდაჭერასა და ქართული ენის მიმართ უცხო კულტურის მუდმივ ინტერესზეც საუბრობს:

„ქალაქის მერიამი შედგა ჩემი პოეზიის საღამო. მას ესწრებოდნენ ჩემი გერმანელი კოლეგები, წევრები ევროპულ ავტორთა გაერთიანებიდან, თვითონ ქალაქის დაინტერესებული მოსახლეობა. ჩემთვის ძალიან სასიხარულო იყო, რომ ნიუნბერგში არსებული ქართული კულტურის ცენტრის წარმომადგენლები (ქართველები) მოვიდნენ. გამახარა ასევე იმანაც, რომ იქ მყოფი როგორც ქართული, ასევე გერმანული საზოგადოება მოწყობილი იყო ქართულ პოეზიას. საინტერესო დეტალი იყო, რომ თვითონ გერმანელებმა მთხოვეს დარბაზიდან, ორი ლექსი მაინც წამეკითხა ქართულად. სურდათ მოესმინათ, ის, თუ როგორ ჟღერდა ჩემი მშობლიური ენა. ეს ნამდვილად ამაღელვებელი იყო.“


ირმა, რა თქმა უნდა, არ ჩერდება. სიახლეები მისი შემოქმედების მუდმივი აუცილებლობაა, რომელსაც ჩვენ, მისი მკითხველიც ყოველთვის დიდი ინტერესით ველით: „სულ მალე ფართო აუდიტორიისთვის დღის სინათლეს იხილავს ჩემი ახალი კრებული „ორშაბათი“. ეს კრებულიც ევროპული ფონდის „კრეატიული ევროპის“ პროექტის ფარგლებში გაკეთდა. წესით წლის ბოლოსთვის იყო დაგეგმილი ჩემი გერმანული გამომცემლობის მიერ ამ წიგნის გაკეთება, მაგრამ როდესაც გამომცემელმა გაიგო, რომ

სექტემბერში მაჯილდოვებდნენ, ყველა წიგნი გვერდით გადადო და ძალიან მალე გამოსცა „ორშაბათი“, რათა დაჯილდოებისთვის თან მქონოდა. წიგნი უკვე დაიბადა. ეს ძალიან სასიხარულო ფაქტი იყო ჩემთვის. შეხვედრაზეც, ამ წიგნიდან წავიკითხე სწორედ ლექსები. კრებულმა ბოლო წლებში დანერგულ ლექსებთან ერთად, ძველი ლექსებიც გააერთიანა. იმ „ორშაბათიდან“ ამ „ორშაბათამდეც“, რა თქმა უნდა, ბევრი რამ შეიცვალა. ჩვენ ადამიანები ყოველდღე ვიცვლებით და სამყაროც ყოველდღე იცვლება. ჩემი შემოქმედებაც, რა თქმა უნდა, შეიცვალა. ვფიქრობ, გაიზარდა, რაც ბუნებრივი პროცესია და, ვფიქრობ, ასეც უნდა იყოს. ადრე თუ შინაგან გზებზე მოარულ ავტორად მოვიზარებოდი, ბოლო წლებში ძალიან ბევრს ვწერ სოციალურ თემებზე, ჩვენს გარშემო არსებულ პრობლემებზე და თავისთავად ეს პოეზიაშიც აისახება. ახალ, გერმანულ წიგნში ძალიან ბევრს ვყვები იმ თემებზე, რაც მანუხებს და ძალიან ბევრს ვყვები წარსულზე, ბავშვობაზე“.

შეგახსენებთ, რომ ირმა შიოლაშვილი რამდენიმე პოეტური კრებულის ავტორია: „არარსებუ-



ლი სიტყვა“ (მერანი, 1992), „მოლურჯო თალი“ (მეცნიერება, 1996 ქართულ-რუსული გამოცემა), „ცრემლის ნაფხური“ (მერანი, 2003), „ფოთლების ხიდი“ (საარი, 2009), „ორშაბათი“ (საუნჯე, 2013). და „ოქტომბერი“ (ინტელექტი, 2020) მისი ლექსები თარგმნილია ფრანგულ, ინგლისურ, ლიტუანურ, რუსულ, გერმანულ ენებზე და შესულია არაერთ უცხოენოვან ანთოლოგიაში. 2011 წელს გერმანიაში გერმანულ ენაზე გამოიცა მისი წიგნი „ფოთლების ხიდი“ („Eine Brücke aus bunten Blättern“, Kaukasische Bibliothek, Band 3. POP Verlag, Deutschland), ხოლო 2018 წელს გამოიცა მეორე წიგნი „თავდაყირა“ („Kopfüber“, Kaukasische Bibliothek, Band 19. POP Verlag, Deutschland). იგი არის ევროპულ ავტორთა გაერთიანება Kogge-სა და გერმანიის მწერალთა კავშირის წევრი. 1999 წლიდან დღემდე ბონის სამოქალაქო რადიო LoCom-ში უძღვება გადაცემათა



ციკლს „სარკმელი საქართველოსკენ“. მუშაობს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებაში (GIZ) დოცენტად.

გეტყვიტ იმასაც, რომ ევროპულ ავტორთა გაერთიანება 1924 წლიდან არსებობს გერმანიაში და რამდენიმე წელიწადში ერთხელ წლის ჯილდოს ერთ ევროპულ ავტორს გადასცემს. ეს მიანიშნებს იმაზე, თუ რამდენად პრესტიჟულია ის ჯილდო, რომელიც ირმა შიოლაშვილს გადაეცა.

ეს იმ გზის ასახვა და დაფასებაა, რომელიც ავტორმა „ორშაბათიდან“ „ორშაბათამდე“ გაიარა. გაზეთი „შირაქი“ კიდევ უამრავ წარმატებას უსურვებს ჩვენს საამაყო პოეტს და დასასრულს, გთავაზობთ ამონარიდს „რადიო თავისუფლების“ ძველი ინტერვიოდან, სადაც გერმანელი მთარგმნელი და ლიტერატურის მცოდნე აგნეს გისბრეჰტ-გოსენი სრულად აღწერს მის შემოქმედებას: „ირმას ლექსები მის თვალებს ჰგავს, ორ დიდ შავ ტბას, რომლებიც ბავშვური ცნობისმოყვარეობით და ზრდასრული ადამიანის სერიოზულობით აღიქვამენ, შეისრუტავენ სამყაროს და შემდეგ ლექსებად გადმოსცემენ. ამიტომ მისი ლექსები ადამიანმა ორ-სამჯერ უნდა წაიკითხოს, რათა მის თვალეში ჩაძირული ძველი ქართული მითებისა და ლეგენდების სიმდიდრე აღიქვას და შეიცნოს“.



# პროექტის წერისა და პრეზენტაციის უნარების გაუმჯობესების

14 ოქტომბერს არბოშიკის ქალთა და ახალგაზრდულ ცენტრში მორიგი შეხვედრა გაიმართა, რომელსაც საინიციატივო ჯგუფის წევრები და ახალგაზრდები ესწრებოდნენ. შეხვედრას საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაცია „საგას“ ხელმძღვანელი თამარ მუმლაძე უძღვევოდა.

მან დამსწრე საზოგადოებას პროექტების არსზე, მათი შექმნისთვის საჭირო უნარ-ჩვევებზე, მიზნებსა და საჭიროებებზე ისაუბრა: „სანამ პროექტის წერას დაიწყებთ, უნდა გაითვალისწინოთ რამდენიმე ფაქტორი. პროექტში უნდა გაიწვიოს მიზნები და ამოცანები, განხორციელების გზები, ბიუჯეტი და მონიტორინგი. რა უნდა ვიცოდეთ, ვიდრე პროექტის წერას დაიწყებთ? უნდა გვქონდეს გაცნობიერებული, რისი გაკეთება გვინდა და რითი იქნება ჩვენი იდეა, პროექტი განსხვავებული იმისგან, რაც უკვე იყო ან არის. უნდა გვესმოდეს პრობლემის არსი, რომლის გადაჭრაც გვსურს. გარდა ამისა, აუცილებელი და მნიშვნელოვანია, რომ ბიუჯეტი მთლიანად შესაბამისად აქტივობებს. არ უნდა იყოს აცდენა თქვენი საქმიანობის განხორციელების სავარაუდო და რეალურ დროს შორის, ყველა ხარჯი, — იქნება ეს ჰონორარი, აღჭურვილობის თუ ა.შ. პირდაპირ შესაბამისად აქტივობის საჭიროებებს. სწორი და რეალისტური ბიუჯეტი პროექტის ერთ-ერთი მთავარი ნაწილია.“

გარდა პროექტის წერის მნიშვნელობის, წერისა და განხორციელების ეტაპებისა, თამარ მუმლაძემ პრეზენტაციის წარმართვის უნარებზეც ისაუბრა. იმაზე, თუ როგორ უნდა წარ-

ვადგინოთ ჩვენი იდეა თუ პროექტი სწორად, რას უნდა მიეცეს პრეზენტაციისას ყურადღება და რა შეცდომებს უნდა ავარიდოთ თავი, თუკი გვსურს, რომ აუდიტორიაც გვისმენდეს, ჩაერთოს ჩვენთან ერთად, იყოს მობილიზებული და ჩვენც თავი მაქსიმალურად კარგად წარვადგინოთ. „ფსიქოლოგები ამბობენ, რომ ინფორმაციის აღქმისას, მნიშვნელობა ენიჭება და ადამიანი ყურადღებას აქცევს ვერბალური ნაწილის 3%-ს, ხოლო დანარჩენი 97% კი არავერბალურ კომუნიკაციაზე მოდის, რომელსაც ადამიანის ტვინი გაცილებით უკეთ აღიქვამს და ეხმარება საჭირო ინფორმაციის დამახსოვრებაში. ამიტომ, ყოველთვის აუცილებელია, არავერბალურ ნაწილის გათვალისწინება. შეიძლება თქვენმა არასწორად შერჩეულმა ჩაცმულობამ და სამკაულმაც კი მთლიანად შეცვალოს თქვენი პრეზენტაციის მსვლელობა და საბოლოო შედეგიც კი. პრეზენტაციის უნარების დადებითობა ყოველთვის დამოკიდებულია ინფორმაციის გადაცემის არავერბალურ მეთოდებზე. თუ ორივე შემთხვევაში მსმენელმა თქვენში დადებითი დანახა, მაშინ, უნდა მიიჩნიოთ, რომ პრეზენტაცია შედგა.“

შეხვედრა მოიცავდა პრაქტიკულ სავარჯიშოებსაც, რომელსაც დამსწრე აუდიტორია ინტერესითა და ხალისითაც კი ასრულებდა. გარდა ამისა, ის დაილოგის რეჟიმშიც წარიმართა და პრეზენტაციის საზოგადოების მხრიდან დასმულ კითხვებსაც პასუხობდა, რომელიც ძირითადად პრეზენტაციის უნარების განვითარებას ეხებოდა. დაიგეგმა სამომავლო შეხვედრებიც.

ინფორმაციისთვის:



საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაცია დაფუძნდა 1998 წელს. იგი ლაგოდების რაიონში რეგისტრირებული პირველი არასამთავრობო ორგანიზაციაა, მისი არასამეწარმეო, არაპოლიტიკური, არამომგებიანი ბუნებიდან გამომდინარე, ასოციაცია ხალხის ინტერესებს წარმოადგენს და მის კანონიერ უფლებებს იცავს. ორგანიზაციაში გაერთიანებული სხვადასხვა პროფესიის ახალგაზრდების-იურისტების, ეკონომისტების, პედაგოგების, ჟურნალისტების აქტივობამ კახეთის რეგიონში ერთ-ერთ წარმატებულ ორგანიზაციად აქცია. ორგანიზაციის საქმიანობა რამდენიმე მიმართულებად იყოფა.

ერთ-ერთ მნიშვნელოვანს, მათ შორის, თვითმმართველობის განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს. ამ მიმართულებით ასოციაცია თვითმმართველობის საქმიანობაზე დამკვირვებისა და საბიუჯეტო პროცესების ანალიზის საფუძველზე, ახორციელებს საბიუჯეტო და სამართლებრივი პროცესების მონიტორინგს, შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს, რათა ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მეტად შესაბამისად დასაზოგადოების რეალურ მოთხოვნილებებს და საჭიროებებს.

2002 წლიდან ასოციაცია აქტიურად მუშაობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის გააქტიურებისა და მათი ინტერესების ხელისუფლების ორგანოებში ადვოკატირების კუთხით. ასოციაციის მიერ გააქტიურებული სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მონაწილეობით, კახეთის რეგიონის

რამდენიმე მუნიციპალიტეტში შემუშავდა მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალურად დაცვის ახალი პროგრამები, რაც ხელს უწყობს სოციალურ სფეროში ეფექტური, სამართლიანი და გამჭვირვალე პოლიტიკის დამკვიდრებას. ორგანიზაციის სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ უკიდურესად გაჭირვებული ოჯახები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, მარტოხელა დედები, მარჩენალდაკარგული და მრავალშვილიანი ოჯახები.

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და მტკივნეულ პრობლემას დასაქმება წარმოადგენს. ამ პრობლემის გადაჭრის ხელშეწყობის მიზნით, ასოციაცია განსაკუთრებით აქტიურად მუშაობს სოციალურად დაუცველ ახალგაზრდულ ჯგუფებთან, ზრუნავს მათ არაფორმალურ განათლებაზე, ხელს უწყობს ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისი უნარებისა და ცოდნის გადაცემაზე. რაიონულ ცენტრს მოშორებულ სოფლებში აყალიბებს ახალგაზრდულ სათემო ჯგუფებს, რომლებიც თავის მხრივ ზრუნავენ სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების განვითარებაზე.

**ასოციაცია აქტიურად თანამშრომლობს რეგიონალურ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან და გააჩნია მათთან ქსელური და კოალიციური მუშაობის დიდი გამოცდილება. ორგანიზაცია ხელს უწყობს რეგიონში სამოქალაქო სექტორის განვითარებას და გარკვეულ წილად, ასრულებს საინფორმაციო-საგანმათლებლო რესურს-ცენტრის ფუნქციას.**

უწყუნა ყანაშვილი



ახალი სასწავლო წლიდან განათლების მინისტრის ბრძანებით სკოლაში ახალი საგანი დაემატა. ამერიკიდან ჭადრაკის მოსწავლეები პირველივე კლასიდან შეისწავლიან.

თვეზე მეტი გავიდა, რაც პირველკლასელებმა ჭადრაკის სწავლება დაიწყეს. თუმცა, გაირკვა, რომ სკოლებს შესაბამისი სახელმძღვანელოები ამ დრომდე არ მიუღიათ. განათლების სამინისტრომ ვერ უზრუნველყო სკოლებისა და მოსწავლეების წიგნებით უზრუნველყოფა. შექმნილი ვითარების გამო ზოგან ქსეროასლებით, ზოგან კი ელექტრონული ვერსიით ასწავლიან. სახლში სამეცადინოდ მოსწავლეებს წიგნი ისევ არ აქვთ.

მშობლები ამბობენ, რომ წიგნის შეძენა 20 ლარამდე ჯდება და იძულებულნი არიან, თავისი სახსრებით შეიძინონ, მათ უმრავლესობას კი წიგნი არ უყვია.

ოზანის საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნინო მეხრიშვილი „შირაქს“ ეუბნება, რომ წიგნები კიდევ არ მიუღიათ, ამიტომ

## ჭადრაკის სწავლება წიგნების გარეშე

პედაგოგი ელექტრონული ვერსიით ხელმძღვანელობს და გაკვეთილს ისე ატარებს.

„ჭადრაკს ხათუნა ხოსიტაშვილი ასწავლის. ის გახლავთ უმაღლესი განათლებით, რომელიც ორ საგანშია სერთიფიცირებული. ამავდროულად გაიარა ჭადრაკის ტრენინგი და მოიპოვა საგნის სწავლების უფლება. მოსწავლეს ეკრძალება წიგნის ყიდვა, ჩვენგან გადაცემულია შეკვეთა და ველოდებით სახელმძღვანელოებს.“ - აღნიშნავს ნინო მეხრიშვილი.

„ზემო ქედის მეორე საჯარო სკოლაში აღმოჩნდა, რომ მეც ვიცი ჭადრაკი და სასწავლო ნაწილმაც, ამდენად, გადამზადება სასწავლო ნაწილმა გაიარა და ნანა ბეიქიშვილმა შეითავსა ეს საათები. პირველ კლასში ჩვენთან ხუთი მოსწავლეა, მათ აქვთ ბუკები, სკოლაში არის wifi ინტერნეტი და წიგნების გარეშე, ელექტრონულად ახერხებენ მეცადინეობას. სამომავლოდ ჭადრაკის სახელმძღვანელოებიც გვჭირდება და რეგულაციც, მოთხოვნა გაგზავნილი გვაქვს და

ველოდებით მიღებას. მანამდე არანაირი პრობლემა არ გვაქვს, ელექტრონულად და ამობეჭდილი მასალით სწავლობენ“ - ამბობს ზემო ქედის №2 სკოლის დირექტორი თამარ ნებიერიძე.

მოსწავლეებში ანალიტიკური, ლოგიკური, კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემების პრაქტიკული გადაჭრის უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით, ჭადრაკი ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში სავალდებულო საგნად დაემატა. ჭადრაკის ეროვნულ ფედერაციასთან თანამშრომლობით მასწავლებლები და სასწავლო რესურსები მომზადდა.

**აღსანიშნავია, რომ სკოლებში ჭადრაკის სწავლება გათვალისწინებულია ევროკავშირის 2012 წლის დეკლარაციით, რომელიც საგანმანათლებლო სისტემებში ჭადრაკის სწავლების დანერგვას ითვალისწინებს.**

ილია მარტყოფიშვილი

# „ადამიანს ყველაზე მეტად თავისი ქვეყანა უნდა უყვარდეს“...

გოგონა, რომლის შესახებაც დღეს მინდა ვიამბოთ, მარიამ სამუკაშვილია. ის 2004 წლის 28 ივლისს ჩემს თვალწინ დაიბადა და გაიზარდა. ჩემს თვალწინ დაიბადა და გაიზარდა დედამისიც - სამრეკლოს ამბულატორიის ექიმი თეა გიგოლაშვილი, რადგან ისინი ჩემი კარის მეზობლების ლალი ბასილაშვილის და მეგობარ გიგოლაშვილის შვილი და შვილიშვილი გახლავთ. ჩემი მეგობრების - კაკო სამუკაშვილის და მარინა ქერიშვილის უფროსი ვაჟი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე და ქალაქ დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატი გონა სამუკაშვილი კი მარიამის მამა და მისმა განვლილმა ცხოვრებამაც ჩემს თვალწინ ჩაიარა. სანაქებო ოჯახების სანაქებო შვილებს ქალშვილიც (დას არც ძმა-ნიკოლოზი ჩამორჩება, მაგრამ ეს სამომავლოდ) სანაქებო გამოუვიდათ. მარიამი დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლის მიმდინარე წლის კურსდამთავრებულია, ოქროსმედალოსანი, საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიური, განათლებული, სამომავლო გეგმებითა და იდეებით სავსე პერსონალიტი ახალგაზრდაა. და თქვენც ხედებით, რომ მე ის ნაცნობ-მეზობლობის გამო არ ამირჩევია რესპონდენტად, ის სამგალოთი ახალგაზრდაა, მისაბაძი სხვა მოზარდებისთვის, მოტივატორი სწავლასა და შრომაში.



ფრანგეთში. საერთოდ, ძალიან მომწონს ეს ენა თავისი კეთილხმოვანებით. ფრანგულად მარიამი გამოითქვება როგორც მარი, მაგრამ ინერება მარიე, ქართულადაც ასე იკითხება და როდესაც მარიეს მეძახიან, კმაყოფილი ვარ, ლამაზი და ორიგინალური.

**- რამდენად ვიცით, სკოლაში ინგლისურს სწავლობდი.**

- დიას, ინგლისურიც კარგად ვიცო, ჩემი ცოდნა მეორე დონის ზევით შეფასდა უნივერსიტეტში; ვნერ, ვკითხულობ და ზედმინეებით ზუსტად შემიძლია ნაკითხულის გაგება და გააზრება. ასე რომ, ორივე ენა დამეხმარება პროფესიის კარგად შესწავლაში.

**- ვიდრე უმაღლესამდე და პროფესიამდე მივალთ, მოდი, იქნებ სკოლაში მისთვის პირველი დღე გაიცინო?**

- სკოლაში დიდი სიხარულით და ინტერესით წავიდი, არ მიტირია, დედის კალთას არ ჩავბლაუჭებოვარ, რადგან ჩემს შესახებ დრად ისეთი ლამაზი მასწავლებელი მოვიდა, თვალს ვერ ვაცილებდი. ნელი შიშიაშვილი იყო ჩემი დანაცვითი კლასების მასწავლებელი, რომელმაც ხალისიანი და საინტერესო ოთხი წელი გაგვატარებინა, ჩამოაყალიბა ჩვენში სწავლის სიყვარული, გაგვავებინა ცოდნის მალაღლი დონის როლი ცხოვრებაში, შეგვავყვარა ერთმანეთი და გუნდობის პრინციპით გვახსავდა, რომ აუცილებელია, ვიხელმძღვანელოთ თეზისით: „ერთი ყველა სათვის და ყველა ერთისათვის!“ საძირკველშივე ჩადებულმა ამ თვისებებმა ჩვენი კლასი გააძლიერა, რაც საბოლოო შედეგებთან დადასტურდა: კლასში 6 მედალოსანი და მოსწავლეთა დიდი ნაწილი 9 და 10 ქულიანი შეფასებით. ჩამორჩენილი ბავშვი კლასში არ გვეყოლია, ვიმარჯვებდით ოლიმპიადასა და კონკურსებში. დიდი მადლობა ამისათვის ჩვენი სკოლის პედკოლექტივს, ადმინისტრაციას, კლასის ხელმძღვანელს ხათუნა მენთეშაშვილს.

**- აბა, ბავშვების უმრავლესობა რეპეტიტორებთან რატომ დადის?**

- სკოლა გვაძლევს ცოდნას საგნების მიხედვით, რაც პედაგოგზე, მის ცოდნაზე, ტექსტზე და გადმოცემის უნარზეა დამოკიდებული, ხოლო რეპეტიტორი გვაძლავს ეროვნული გამოცდებისთვის, სადაც ცოდნაზე დაყრდნობით ლოგიკური აზროვნება გიყალიბდება. ეს ყველაფერი კი აძლიერებს და აღრმავებს ჩვენს საბაზისო ცოდნას, გზის თავდაჯერებულს და განგანყოფს გამარჯვებისთვის. თუმცა, ამ ყველაფრის დაძლევა მონდომებულ და მიზანდასახულ მოსწავლეს რეპეტიტორის გარეშეც შეუძლია. მაგალითად, ჩვენს კლასში იყო ბავშვი, რომელიც სულ თავისით მოემზადა, მიიღო უმაღლესი ქულები და დაფინანსებაც მოიპოვა. სკოლაში მიღებული ცოდნით გავდიოდი ყველა ოლიმპიადასა თუ კონკურსზე და დიპლომით ვბრუნდებოდი არა მარტო მე, არამედ ბევრი ჩემი თუ პარარელური კლასელი ნარჩინ-

ბული მოსწავლე. ამიტომ, თუ იბეჯითებ, მასწავლებლის მოთხოვნებს ყოველდღიურად გაითვალისწინებ, ნარმატება აუცილებლად მოვა. რაც შეეხება ეროვნულ გამოცდებს, მივესალმები, მომწონს მისი ფორმაც და შინაარსიც, ვფიქრობ, გამართლებულია!

**- მარიამ, შენ, გარდა იმისა, რომ ნარჩინებული მოსწავლე იყავი, აქტიურად მონაწილეობდი სხვადასხვა საზოგადოებრივ აქტივობაშიც. გვიამბე ამის შესახებ...**

- მე-11 კლასში რომ ვიყავი, პანდემია მიხინვარებდა მსოფლიოში, ჩვენც ონლაინ რეჟიმში ვსწავლობდით, და, ძირითადად, კომპიუტერთან ვიჯექი. ერთხელაც ვნახე განცხადება, რომ სტუდენტური (ახლ გაზრდილი) პარლამენტი ახალ წევრებს ეძებდა სხვადასხვა კომიტეტებში მონაწილეობის მისაღებად. გავწევრიანდი. დამამატეს ჯგუფში წევრად. როდესაც ნახეს, რომ ვაქტიურობდი, გადამიყვანეს ადმინისტრაციამ. ჩემი ინტერესი უცხოეთთან ურთიერთობის საკითხებში გამოიკვეთა. ამიტომ, დავინიშნე ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ. ამ წლის ბოლომდე შემიძლია, გავაგრძელო ამ კუთხით საქმიანობა. ამ პარლამენტის მიზანია, მოიძიოს სპიკერები და გააცნოს ახალი ინფორმაციები. ჩემი განვლილი სასკოლო პერიოდთან დაუფინანსებელი ვირტუალურ საკვირაო სკოლაში მონაწილეობა. სწორედ მაშინ გავიცანი გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენელი ლიზა ვინტონი. 800 ბავშვიდან მე აღმოჩნდი „ილბიანი“, ვინც მისთვის კითხვის დასმა მოვახერხე. ასევე ონლაინ გავიცანი კლარა არნოსი, რომელმაც აღმოსავლეთის ქვეყნები შემოიარა ტრანსპორტის გარეშე, შეისწავლა მათი კულტურა, ზნე-ჩვეულებები, კულინარია და სხვა და აღწერა თავის ნიგნში.

გასულ წელს მივიღე მონაწილეობა განათლების საერთაშორისო გამოცემაში და ვესაუბრე მარსელის (ცენტრალური სკოლის (იგივე უნივერსიტეტი) პროფესორს ოლივიე ბუარონს. წელს კი ფრანგული ინსტიტუტის ხელმძღვანელობით ჩატარდა განათლების ვირტუალური გამოცემა, სადაც მივიღე მონაწილეობა, რადგან აქ იხილებოდა თემა, თუ როგორ უნდა მოიპოვო დაფინანსება ფრანგული უნივერსიტეტისთვის, რაც ჩემი საბოლოო მიზანია. ახლა ვსწავლობ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტზე. ეს იყო ჩემი ნომერ პირველი განაცხადი და, მიუხედავად დიდი კონკურსისა, 70%-იანი დაფინანსება მაინც მოვიპოვე. სამომავლოდ სწავლის გაგრძელებას სურბონის უნივერსიტეტში ვაპირებ. მართალია, საქართველოს უნივერსიტეტები კარგ ცოდნას იძლევიან, მაგრამ მიმანია, რომ ჩვენი ახალგაზრდობა საზღვარგარეთ, განვითარებულ ქვეყნებში უნდა გავედეს, რათა გავცნოს ახალ ხედვებს, გაუჩნდეს იდეები, ნახოს იქაური ცხოვრების სტილი, პოლიტიკური მიდგომები, შეადაროს საკუთარს და ეროვნულთან შევარდებით დაწერგოს ჩვენს ქვეყანაში.

**- მაგრამ რომ აღარ ბრუნდებოდა?**

- არა, ადამიანს ყველაზე მეტად თავისი ქვეყანა უნდა უყვარდეს და არა ის კეთილდღეობა, რაც შეიძლება რომელიმე განვითარებულ ქვეყანაში მიიღოს. უნდა ნახო და ისწავლო ბევრი, რომ დაბრუნდე და შენს ქვეყანას მოახმარო. ეს ყველა ადამიანის ვალია!

**- როგორი იყო პირველი შთაბეჭდილებები უნივერსიტეტში?**

- სწავლა დაინყო 19 სექტემბერს. ჩემთვის საოცნებო იყო დედაუნივერსიტეტში მოხვედრა და ამხიდა, ძალიან ბედნიერი ვარ. შეხვალ და მის სიდასადს გრძნობ-ისტორიული იერ-სახე შენარჩუნებულია, სულ სხვა აურაა, იმ დიდი კორიფების მიერ დატოვებული აურა, ვინც საფუძველი ჩაუყარა და დღეებით ატარა მისი სახელი ათწლეულების მანძილზე! როდესაც შესასწავლი საგნების სიას გავეცანი, ისეთი ინტერესი გამიჩნდა, რომ მოუთმენლობამ შემიპყრო, ერთი სული

მაქვს როდის დაეინყებო, მაგალითად, ტერორიზმის შესწავლას. ზოგი საგანი უკვე დაეინყებო, ზოგის შესწავლას იანვრიდან შევუდგებით. ლექტორებმაც ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. კურსელებიც მომწონან. ჩემი ცხოვრების ამ ახალ ეტაპს დიდი ენთუზიაზმით შევხვდი. არაერთხელ ვიყავი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, რომელსაც უზარმაზარი ნივანდი ფონდი აქვს, მათ შორის ელექტრონული ვერსიებიც. დიდი შეღავათია, რომ სტუდენტებს უფასო წვდომა გვაქვს იმ ფასიან ნივნობებზე, რომელიც საკმაოდ ძვირადღირებულია. ასე რომ, თუ მონდომებული ხარ, ყველაფერი გინცობს ხელს ცოდნის მიღებისთვის.

**-რას იტყვი კახეთის გუბერნატორის გიორგი ალადაშვილის ინიციატივაზე?**

-დიას, ბატონი გიორგის ინიციატივით მოეწყო კახეთის რეგიონის მედალოსანთა შეხვედრა და დაჯილდოება. ძალიან ლამაზი და დაუფინანსო დღე იყო. ეს იყო უზარმაზარი ემოცია. სასიამოვნოა, როდესაც შრომა გივასადას, ეს შემდგომ მოტივაციას გაძლევს. გადმოგვეცა სიგელები და ფულადი ჯილდოები: ოქროსმედალოსნებს 500, ვერცხლის მედალოსნებს 400 ლარის ოდენობით. მადლობა გუბერნატორის და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციას ამ შესანიშნავი დღისათვის.

**-რას უსურვებ და ურჩევ თანატოლებს?**

-იყვენე მობლიზებული სწავლისთვის, მაგრამ, პირველ რიგში, იყვენე კარგი ადამიანები - რწმენაში განმტკიცებული, კეთილები, ჭეშმარიტები, სიტყვის პატრონები და საკუთარი ხალხის, ეროვნულობის და ქვეყნის პატრონები.

**-მარიამ, შენი ოჯახი და შენი პაპა-ბებიების ოჯახებიც სულ ერთგული ხელმომწერი და მკითხველია ჩვენი გაზეთის. წელს გაზეთი 85 წლის გახდა - ის იუბილარია. დღეს შენ ბოლო რესპონდენტი ხარ ჩემთვის. 52 წლიანი ჟურნალისტური მუშაობის შემდეგ, ვტოვებ სამსახურს, ვემშვიდობები ჩემს მკითხველს. პირველი საგაზეთო სტატია, რომელიც მე მოვაშადად სოფელ გამარჯვების სამამულო ომში დაღუპულია და დაკარგულთა სხოვნას მიეძღვნა. ბოლო წერილი კი შენ გეძღვნება, როგორც ქვეყნის იმედსა და მომავლის სიმბოლოს. ასე რომ, დავინყე წარსულის სხოვნით და ვამთავრებ მომავლის რწმენით. შენ თუ კითხულობ ამ გაზეთს, რა მოგწონს, ან რას ისურვებდი?**

- გაზეთი რომ იუბილარია, ვიცოდი, ისიც ვიცო, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტი იმ გამოწვევის ეკუთვნის, სადაც ასეთი უძველესი გაზეთი გამოდის უწყვეტად. მადლობა მთელ კოლექტივს, ძველ თაობებსაც და დღევანდელსაც, რადგან გაზეთი ჩვენი მუნიციპალიტეტის ცხოვრების მემკვიდრეა. ერთხელ, მე და თქვენი შვილიშვილი ნია, ერთად ვიყავით თქვენს კაბინეტში და გვაჩვენებდით წლების მიხედვით ნიგნებზე შეკერილი გაზეთები, რამაც ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. დაწყებით კლასებში ჩვენი საყვარელი წელი მასწავლებლებიც ხშირად გვიკითხავდა ამ გაზეთს და მის ისტორიას გვიყვებოდა. გვიხაროდა, რომ გაზეთში ჩვენი ლონისძიებების შესახებ სტატიები და სურათები იბეჭდებოდა. მე ახლაც ინტერესით ვეცნობი სპორტულ მიღწევებს, მასალებს ჩვენი რაიონის ისტორიული წარსულის შესახებ. ალბათ, ლალი ბებოს გავლენაა, რადგან ისტორიკოსი და მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მუშაობს. ბევრი საინტერესო ადამიანის ცხოვრება შეუძლებელია, რომლებმაც წარმატებული და მისაბაძი გზა გაიარეს. თუ ცოტა მეტი სახალისო ამბებიც იქნება, მივესალმები. ვულოცავ გაზეთს იუბილეს, წარმატებულ საქმიანობას ვუსურვებ. თქვენ კი, მინდა იყოთ ჯანმრთელი, დიდხანს იცოცხოთ და დატკბეთ თქვენი შვილებისა და შვილიშვილების სიყვარულით! მადლობა, რომ ჩემით დაინტერესდით და წერილი დანერეთ.

**-წარმატებებს და მიზნების ასრულებას გისურვებ, ჩემო კარგო მარიამ, ბედნიერი იყავი!**

ნაირა გორაშვილი

## კატასტროფების რისკის შემცირების ღონისძიებები

13 ოქტომბერი - მწვანე კალენდრის მიხედვით ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირების საერთაშორისო დღეა. სწორედ ამ მიზნით, სამრეკლოს საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეებმა ანა ბოსტოლანაშვილმა და ანი ბოსტოლანაშვილმა წარმოადგინეს პრეზენტაცია, რომელსაც ესწრებოდნენ ამავე სკოლის დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეები.

პრეზენტაციებმა მოსწავლეებს გააცნეს ბუნებრივი კატასტროფების რისკების მართვისა და შემცირების ძირითადი კონცეფციები. მოუწოდეს, რომ საფრთხეების რისკების შემცირება შესაძლებელია ჩვენივე ჩართულობით. პრეზენტაცია დასრულდა კითხვა-პასუხის რეჟიმში, დამსწრე საზოგადოებამ გამოხატა საკუთარი მოსაზრება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.





# გორა პაპარაშვილი — უსაფლავო გმირი ზემო მარხაანიდან

ობლად გაზრდილი ზემო მარხაანელ 24 წლის გორა პაპარაშვილს აფხაზეთის ომში წასვლა არ ეკუთვნოდა, რადგან დედისა და უმცროსი დისთვის ერთადერთი მარჩენალად ითვლებოდა, ამიტომაც არ გაუწვევიათ. თუმცა, რადგან კონფლიქტი არ ცხრებოდა, ომში საკუთარი ნებით, მოხალისედ წავიდა. 30 წელი გავიდა და ისევ არ დაბრუნებულა. ოჯახს ერთადერთი ვაჟის საფლავიც არ აქვს, თუმცა, იმედს არ კარგავენ, რომ ნეშტის გადმოსვენება მოხერხდება. „შირაპი“ აგრძელებს დედოფლისწყაროს გმირთა მემორიალზე ამოტვიფრული გმირების მკითხველისთვის გაცნობას და მათი ღვაწლის გახსენებას.



სამუშაოზე წავიდოდი საოჯახო საქმეებსაც აკეთებდა და საქმელსაც. უმამოდ იზრდებოდა, მუდმივად ცდილობდა ოჯახის ბურჯი ყოფილიყო და ყველანაირად გვერდში ამოგვდგომოდა. ვენახშიც დადიოდა სამუშაოდ, ცოტა ხნით ტრაქტორზეც მუშაობდა. ძლიერი ბიჭი იყო, სულ ვარჯიშობდა. ნისქელის ეზოში მაგინა იდგა. სოფელში ასევე ძლიერი ბიჭი იყო „გოდორი“, ამ მაგიდასთან გორა მიუყვანია, ხელს თუ გადამინეგო. გორას ადვილად მოუგია“.

მნიფოს, არადა ამ ომში მოხალისეთა ნილი საკმაოდ დიდი იყო. ვერ წარმოიდგენთ რამხელა შრომა დაძვინდა. საკმაო ძალისხმევის ფასად შევძელი ბატალიონის ხელმძღვანელებთან შეხვედრები და ამ აქტიურობის შედეგად მოვახერხე ამელო დოკუმენტი „საბრძოლო მოკვლევა“, ამ ბარათზე კონკრეტულად წერია, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 1992 წლის 29 აგვისტოს ბრძანებით გორა პაპარაშვილი გავრის 101-ე ბატალიონის რიგებში ჩაირიცხა და იბრძოდა გავრის მისადგომებში. 1992 წლის 2 ოქტომბერს კი ერთ-ერთი საბრძოლო ოპერაციის დროს დაიღუპა გავრაში და დასაფლავებულია იქვე. მაგრამ ამ დოკუმენტში 2 ოქტომბრის ნაცვლად წერია 2 ნოემბერი. ამის გამო გარკვეული პრობლემები შეგვექმნა.



## თამარიკო (თალიკო) პაპარაშვილი (დედა):

„1968 წლის 10 ივნისს დაიბადა. სკოლაში კარგად სწავლობდა, კარგად ცეკვავდა. ჩონგურზე დაკვრა დამოუკიდებლად ისწავლა, მელოდიებსა და სიტყვებს თავად იგონებდა. სპორტი და ვარჯიში უყვარდა, ამიტომ ზედმეტსახელად „კარატისტს“ ეძახდნენ. ძალიან უყვარდა შინაური ცხოველები, საოჯახო მეურნეობაზე სულ თვითონ ზრუნავდა. სხვადასხვა უცხო ჯიშის ქათმებსა და ცხოველებს მოიყვანდა ხოლმე და ზრდიდა, უნდაოდ განსხვავებული ჯიშები გვეყოლოდა. 8 კლასის დამთავრების შემდეგ წნორში ზოოვეტერინარული მიმართულებით ჩააბარა. ძალიან უნდოდა ეს პროფესია. ორწლიანი სწავლის შემდეგ სავალდებულო სამხედრო სამსახური მონდოლეთის ქალაქ ჩიტაში მოიხსადა. ჯარიდან რომ ჩამოვიდა ვეტექნიკად დაინიშნა მუშაობა. ომი რომ დაიწყო და ბიჭები გაიწვიეს, გორას ეს არ შეეხო. გორა 8 წლის იყო, ანა 7-ის, როცა მუშაობდა ექიმების დაუდევრობის გამო გარდაემეცვალა და ბავშვებს ობლად ვზრდიდი, ოჯახს მარტო ვუძღვევოდი. ამიტომ, გორა როგორც ერთადერთი მამაკაცი და ოჯახის მარჩენალი, კონფლიქტის ზონაში არ გაიწვიეს. მაგრამ თვეები რომ გადიოდა და ვითარება უფრო იძაბებოდა, ვერ ისვენებდა, გადწყვიტა მოხალისედ წასულიყო. რაიონში წავიდა, კომისარს შეხვდა, მოხალისეთა რიგებში ჩაენერა და ომში წაიყვანეს. უარს ვუთხრობდით, ვენინალმდეგებოდით, მაგრამ სულით ხორცამდე სამშობლოსთვის მებრძოლი იყო, და აიჩემა უნდა წავიდეთ. ტელევიზორში რომ უყურებდა, ამბობდა მე თუ არ წავალ და ყველა ასე იფიქრებს, მტერს ვილა მიხედავსო. არ დამემშვიდობა, ისე გაიპარა ომში. ბოლოჯერ მაინც ჩავესტებოდი და ისე გავაცილებდი, დავემშვიდობებოდი. ბოლო დღეებში კი ვკამათობდით აფხაზეთში წასვლის საკითხზე, მაგრამ დილით სამუშაოდ რომ წავიდი, ვერ წარმოვიდგენდი, თუ უკან დაბრუნებულს სახლში აღარ დამხვდებოდა. მითხრეს ომში წავიდაო. იქ მირზანელი ბიჭი უნახავს, უთქვამს სახლში წავიდეთ, ძალიან დაიძაბა. ცხადია არ

წამოვიდა. ვერაფერი შეაჩერებდა. 24 წლის იყო აფხაზეთში რომ წავიდა, 101-ე ბატალიონში განწვირდა. ომიდან წერილებს გვიგზავნიდა, ცოცხალი ვარ, არ ინერვიულოთო. 1992 წლის 2 ოქტომბერს, გავრა რომ დაეცა, მას შემდეგ წერილებიც შეწყდა და გორას კვალიც დაიკარგა, აღარაფერი ისმოდა. დიდი ძალისხმევა დაგვეჭირდა, რომ სადმე მიგვეგნო, მაგრამ ამ დრომდე არაფერია ცნობილი. იმედს მაინც არ ვკარგავთ და მჯერა, რომ მოვესწრები ჩემი შვილის პოვნას, მისი საფლავი მაინც მეჩნდება.

მანამდე ერთი პერიოდი დაჭრილიც იყო. როცა საავადმყოფოში იმკურნალა და გამოწერეს, სახლში უშვებდნენ, მაგრამ არ ჩამოვიდა, ისევ ბრძოლის ველზე წავიდა. მისი თანამებრძოლებიც სულ ამას ამბობენ, მუდმივად წინა ხაზზე იბრძოდნენ. თავს არ ზოგავდა.

**ერთხელ, წლების შემდეგ, სოფლის ნისქელში ხორბალი მივიტანე. დედოფლისწყაროელი ბიჭი გამომელაპარაკა, გორას ოცმეთაური მე ვიყავი, ერთად ვიბრძოდითო. ბოლო დღე გაიხსენა, ირგვლივ ყველაფერი ცეცხლის ალში გავხვდა, ცოცხალი აღარავინ იყო. დაჭრილი ვეგდე და უცებ გორა დამეცა, მე გადავარჩინე. სამი დღე და ღამე მატარა, ტყეში ჩეჩნები და აფხაზები შეგვხვდნენ და „ვაი დედაო“ თქვა. გონება დავკარგე და აღარაფერი მახსოვს, აზრზე რომ მოვიდი, ტყვედ ვიყავიო. ვექებდი, კვალი ლესელიძემდე მივიდა და მერე ველარაფერი გავიგეო.**

ომი რომ არ დაწყებულიყო, დაოჯახებდას აპირებდა. გეგმებზე ბევრი არ უსაუბრია, მაგრამ ცოლის მოყვანაზე საუბრობდა. თუმცა, ომი რომ დაიწყო ყველანაირი გეგმა შეცვალა.

პატარაობის წლებს რაც შეეხება: ცელქი ბავშვი იყო. სკოლაც ძალიან უყვარდა, სულ მაღალი ნიშნები ჰქონდა. ნეჟნა მასწავლებელი ძალიან უყვარდა, მისი კლასის დამრიგებელი იყო. უზომოდ კეთილი იყო, სახლიდან გაიტანდა და სხვას მისცემდა. მისი ტანსაცმელიც მუდმივად მეგობრებს ეცვა. მე რომ

## ანა პაპარაშვილი (გორას და):

„გაუჩინარების დღიდან აქტიურად ვეძებ, არ დამიტოვია სამხედრო ნაწილი, სამინისტროები, თუ სახელმწიფო დაწესებულებები, მაგრამ მის ცხედარს ვერ მივაკვლიე. არც კომისარიატს ჰქონდა ინფორმაცია მისი დაღუპვის შესახებ. შევხვდი გორას ბატალიონის მეთაურს რობერტ აკოფოვს, ბატალიონის შტაბის უფროსს თენგიზ შუბლაძეს, სხვა თანამებრძოლებს. ისინი მიდასტურებენ, რომ ჩემი ძმა მათთან იბრძოდა. როგორც მათ მიაბეს, გავრა რომ დაეცა, ქართველი მებრძოლები დაიქაქნენ. ყველა თავის შევლასა და გადარჩენას დამოუკიდებლად ცდილობდა და ვინ სად გარბოდა არ ვიცოდითო. ამიტომ, ხელჩასაჭიდს ვერავინ ვერაფერს იხსენებს როგორ გაუჩინარდა გორა. მაშინ ძირითადად ცხედრები სოხუმიდან, ბაბუშურადან და მიმდებარე ტერიტორიებიდან ჩამოჰქონდათ. როგორც ვიცი, გავრიდან ცხედრები არ ჩამოუსვენებიათ. 30 წელი გავიდა, მაგრამ გადმოსვენების პროცედურები ისევ გრძელდება. გასულ წლებშიც რამდენჯერმე მოხდა გადმოსვენების პროცედურა. ნითელი ჯვრის ორგანიზაცია ისევ მუშაობს გვაგების იდენტიფიცირებასა და მათ გადმოსვენებაზე. ორი წელია პანდემიის გამო არ მომხდარა, თორემ მუშაობა გრძელდება. დე-ენ-ემის ანალიზის პასუხები ჩაბარებული გვაქვს როგორც ნითელ ჯვარში, ისე უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ასოციაციაში. მიტანილი გვაქვს ფოტოებიც და ყველანაირი ინფორმაცია. ამიტომ, იმედი გვაქვს, რომ ერთხელაც ის დღე დადგება, როცა მის ნეშტს მივაკვლევთ და ჩვენთან დავკრძალავთ. გვექნება ადგილი, სადაც მის დატრეხას შევძლებთ.

ბევრი ბრძოლით მივალნიე იმას, რომ წლების შემდეგ გამოცხადდა გარდაცვლილად, გაიცა გარდაცვალების მონობა, ავიღეთ ვეტერანის მონობაც, ვიღებდით პენსიას 46 ლარის ოდენობით. ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ ეს პენსია ირაკლი ლარიბაშვილის ინიციატივით 1000 ლარამდე გაიზარდა. სანამ ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ არ მოვიდა, მანამდე ვეტერანების ოჯახებშია ყურადღება ვერ იგრძნეს. ზამთარში დედოფლისწყაროს მერია შემას მამღლეს, გაზისა და დენის შეღავათებით ვსარგებლობ. საქმე იმაშია, რომ მოხალისედ წასული პირები ამ ომში ოფიციალურად არავის აღურიცხავს და დაფიქსირებული არსად არიან. მამინდელმა ხელისუფლებამ მოხალისეები თამაშგარე მდგომარეობაში დატოვა და ისინი დოკუმენტურად არსად არიან დაფიქსირებული. ასეთი პოზიცია ჰქონდა მამინდელს

ამ დღეებში ზუსტად 30 წელი გავიდა აფხაზეთის ომის დაწყებიდან და გორას გაუჩინარებიდან. ხშირად ვფიქრობთ, სწორი იყო თუ არა მისი გადწყვეტილება აფხაზეთში წასვლის შესახებ. ჩვენ მაინც ვამაყობთ მისი საქციელით და თავგანწირვით. უნდა გვახსოვდეს ეს რამდენად მნიშვნელოვანი პერიოდი იყო საქართველოს ისტორიაში. ახალი მოპოვებული იყო დამოუკიდებლობა, ჩვენი ქვეყანა პირველ ნაბიჯებს დგამდა. ვიდრე აფხაზეთში გამწვავდებოდა ვითარება, ქართველთა შორის შიდა დაპირისპირება იყო თბილისში. რადგან არ გაიწვიეს და ხედავდა, რომ არ ჩაცხრა ვითარება აფხაზეთში, აღარ გაჩერებულა, ვერ მოითმინა. ამიტომ მიგვაჩნია, რომ იმ პერიოდში მისი გამბედაობა და თავგანწირვა მართლაც ღირსეული ნაბიჯი იყო. ვამაყობთ, რომ საკუთარი სურვილით გადადგა ეს გმირული ნაბიჯი. ძალიან რთულია იმ პერიოდის გახსენება და შეფასებების გაკეთება. ემოციურად ჩვენთვის ურთულესია ამაზე საუბარი. რადგან ცხედარი არ გვიჩვენებს და არც დაკრძალვის ცერემონია შემდგარა, ადამიანს სადღაც გულის სიღრმეში აქვს განცდა, რომ იქნებ ცოცხალია და გამოჩნდეს. ამაზე ჩვენც დავფიქრებულვართ, მაგრამ გორა ისეთი ხასიათის იყო, რომ გამოორიცხულია ცოცხალი გადარჩენილიყო და წლების შემდეგ მაინც არ დაკავშირებოდა ოჯახს. ყოველი შეტაკების დროს წერილს გვწერდა, გვამშვიდებდა და ახლაც ასე იზამდა. უზომოდ უყვარდა დედა, და... ამიტომაც, ის გადარჩენის შემთხვევაში აუცილებლად გამოჩნდებოდა.

## ილია მარტყოფლიშვილი



ნითელი ჯვრის კომიტეტის ცნობით, 2013 წლის შემდგომ სულ ნაპოვნია 563 ადამიანის ნეშტი, აქედან 191 ამოცნობილია და გადაეცა ოჯახებს. გრძელდება მუშაობა კონფლიქტების შედეგად გაუჩინარებული ადამიანების სევედრისა და ადგილსამყოფელის დასადგენად. 1992-93 წლების აფხაზეთის კონფლიქტის შედეგად გაუჩინარებულ ადამიანებთან დაკავშირებულ საკითხებზე მომუშავე საკოორდინაციო მექანიზმის ფარგლებში, კომიტეტი 2010 წლიდან ფუნქციონირებს და მასში აფხაზი და ქართველი მონაწილეები არიან ჩართული. პლატფორმა მხოლოდ ჰუმანიტარულ ხასიათს ატარებს და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ოჯახების სახელით მოქმედებს.



